



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### გრანჟე ლუი

გრანჟე (Granger) ლუი (XVII ს.), ფრანგი მისიონერი, იეზუიტთა ორდენის წევრი.

გ. 1614, სტამბოლში მოღვაწე საფრანგეთის ელჩის ხელშეწყობით, გამოემგზავრა სამეგრელოში კათოლიკობის გასავრცელებლად. მოგზაურობის ანგარიშში, რ-იც მან 1615 მოქვიდან იეზუიტების ორდენის გენერალს კლავდიო აკვაზივას გაუგზავნა, აღწერილია შავიზღვისპირეთის მოსახლეობის ეთნ. შემადგენლობა სტამბოლიდან გურიაში, ის ენები, რ-ზეც იმ დროს მეტყველებდა ეს მოსახლეობა; გურიისა და სამეგრელოს მთავრებთან შეხვედრები და ამ შეხვედრისას აღგილ. ფეოდ. და სას. არისტოკრატიასთან წამოჭრილი სასაუბრო თემები (უპირატესად სარწმუნოების საკითხებზე). აღწერილია აგრეთვე შეხვედრა დას. საქართველოში მყოფ კახეთის მეფე თეიმურაზ I-თან, რ-საც გ. „თებრიზ-ხანს“ უწოდებს.

ლიტ.: თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902; П о л и е в к т о в М. А., Европейские путешественники XIII–XVIII вв. по Кавказу, Тфл., 1935.

**გ. ჟორდანი**

---